

սձգեմի հորափա

սծոնցյա  
տոմոճգժ







დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1582  
ჯიზის წიგნები:129

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი

დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი

ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა

ულურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:

20.02.2019/15

ISBN: 978-605-9962-99-5

2019-06-Y-0003-1582

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო

უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

აბაიჯულია თამაშები



აიშენური ხალიჩა



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საკმეთის სამმართველო

## სარჩევი რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

თამაშის მცნება და მისი ისტორია • 11

თამაში დაუმსახურებელი შემოსავალია • 13

აზარტული თამაშები მფლანგველობაა • 21

აზარტული თამაშები დროის მფლანგველობაა • 23

აზარტული თამაშები ჯანმრთელობისთვის  
საზიანოა • 26

აზარტული თამაშები და ამბიციის • 30

აზარტული თამაშები სუსტი ნებისყოფის  
გამოვლინებაა • 33

აზარტული თამაშები საზოგადოებრივი  
უბედურებაა • 35

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება • 38

თამაშის ვალი ღირსების ვალია • 46

და ბოლოს • 47

## წინასიყუფობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვაღდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოდათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოდა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვაღდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შექლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვეველობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშილი, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვეველობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეო-

ბა რაღაც ფორმით, გაურკვეველობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარებლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავენერგოთ. უეჭველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქოთერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევები, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და



ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ღხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

## შეხვედი

თანამედროვე მსოფლიოში აზარტული თამაშები საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა და ის, საზოგადოებრივი პრობლემების და ზნეობრივი დაცემულობის მნიშვნელოვანი მაგალითია. დაუმსახურებელი, უსამართლო შემოსავალი და ერთგვარი გასართობი სექტორია მრავალი ადამიანისთვის აზარტული თამაშები.

თამაშს მიაქვს ადამიანის დრო და ენერჯია. თამაში უბიძგებს ადამიანებს სიზარმაცისა და მეოცნებეობისკენ. უშრომლად შემოსავლის მიღების სურვილი წესად ექცათ ადამიანებს. თამაშია მიზეზი, როცა საზოგადოება საქმეს და შრომას უგულბებლყოფს და უნიადაგო, უშედევო, უპერსპექტივო, უაზრო და უმომავლო უსასრულობისკენ მიექანება.

თამაშში ყოველდღე დიდი ფული იხარჯება. არადა სიამოვნებისთვის გაფლანგული ამდენი ფული მრავალი უპოვარისათვის კეთილდღეობის შექმნას ეყოფოდა.

აზარტულ თამაშებს ძალიან დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ამის მომსწრენი ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხდებით გაზეთებსა და ტელევიზიებში. თამაშის შედეგად თავს გადახდენილი ტრაგედიები... თვითმკვლე-

ღობები...ერთ ღამეში ყველაფრის დაკარგვა...თამაშის გამო ვალში ჩავარდნილთა დანაშაულებრივი ქმედებები და თვითმკვლევლობები...განადგურებული ადამიანები...საშინელი სცენები...დანგრეული ოჯახები და მთელი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები ქონების თვალის დახამხამებაში განიავება...დანაშაულისკენ ბიძგი და მკვლევლობები...



განსაკუთრებით გულსატკენია თამაშის შედეგად დანგრეული ოჯახები და ობლად დარჩენილი მომავალი თაობა.

კი მაგრამ, რა არის ეს აზარტული თამაშები? რატომ თამაშობენ ადამიანები?

თამაში ის გატაცებაა, რომელიც ადამიანს წაიყოლიებს და სავალალო შედეგამ-

დე მიჰყავს? თუ მხოლოდ წამიერი ბიძგია და სიცარიელის შევსების სურვილი? თუ ეს არის დაავადება, რომელიც საზოგადოებისა და პიროვნებების ცხოვრებაში ღრმა ჭრილობებს აჩენს და სიმშვიდეს უკარგავს ყველას? ის წყვეტს სიყვარულის და ძმობის კავშირებს, ამძაფრებს სიძულვილს, ბოღმას და მტრობას. ხელს უშლის პატიოსან შრომას და ადამიანს ოჯახის, გარემოს, ადამიანური და რელიგიური მოვალეობებისგან უპასუხისმგებლოს ხდის.

### თამაშის მქნება და მისი ისტორია

თამაში არის უცნობი შედეგის, შემთხვევით გამართლებაზე დამოკიდებული, ფულის მოგების ან წაგების პროცესი.

თამაშს დიდი ხნის ისტორია აქვს. მნიშვნელობა არ აქვს რა ჰქვია, თუ მასში არის ფულის მოგების ან წაგების მიზანი, ის აზარტული თამაშია.

„თამაში, ეს არის ილბალის და მოხერხების მეშვეობით, ან ცალკე-ცალკე, გაურკვეველი შედეგის მქონე მოვლენა, რომლის დროსაც ადამიანები ერთმანეთს კონკრეტული მოვლენის წესისამებრ ეჯიბრებიან და იგებენ“.

თამაში დასასრულის დასაწყისი, იმედის განადგურებაა. ეს არის ცხოვრებაში დარ-

ჩენის მიზეზების თითებს შორის ჩაბნევა და გაუჩინარება. მოვიგებ- წავაგეს ძახილით, სინამდვილეში ვერც კი გავიგებთ რას ვკარგავთ.

უძველესი დროიდან მოყოლებული ადამიანები ხშირად პაექრობდნენ რა იყო სწორი და რა არა და ამ პროცესში ხშირად სიცოცხლესაც კი დებდნენ სასწორზე. თამაში, ანუ ყუმარი როდის წარმოიშვა ამის დადგენა შეუძლებელია.



აზარტული თამაშები თითქმის ყველა ხალხში განსხვავებული ფორმებით არის გავრცელებული. მისი საწყისები, კაცობრიობის ისტორიაში საკმაოდ ძველია. იგი გავრცელებული იყო ჩრდილოეთ აფრიკიდან დაწყებული ეგვიპტისა და ირანის მსგავს ქვეყნებშიც. ისლამამდელ არაბულ ტომებშიც თამაში საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო. ისლამამდელი არაბეთის წარჩინებულნი უმეტესწილად გასართობად თამაშობდნენ, რადგან თამაშით მოგება ან წაგება სირცხვილად მიაჩნდათ. მაშინდელ არაბეთში ყველაზე გავრცელებული თამაში იყო „მეისირ“-ი.

### თამაში დაუმსახურებელი შემოსავლია

აზარტული თამაშის დროს ფულის მოგება იღბალზე და შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. თამაშის მიზნით და გაურკვეველი შედეგის მოლოდინით დადებული ფული ერთ ან რამოდენიმე ადამიანის ხელში გადადის.

თამაშის სახეობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა და დღეისათვის აზარტული თამაშების მრავალი სახეობა არსებობს. მნიშვნელობა არ აქვს რა სახის თამაშთან გვაქვს საქმე. ძირითადი პრინციპების თვალსაზრისით თამაში და ზოგადად

თამაშის შედეგად შემოსავლის მიღება შემოსავლის მიღების ლეგიტიმურ პრინციპს ეწინააღმდეგება. თამაში ეწინააღმდეგება შრომის და ალალის გზებით სარჩოს მოპოვების პრინციპს. ის აქრობს შრომის და სარჩოს შექმნის სურვილს და აქეზებს მუქთად ცხოვრების გზების ძიებას. იფლანგება დრო და ფული. ადამიანებისა და საზოგადოებისთვის მოაქვს უამრავი უბედურება ბადებს ნეგატიურ შედეგებს. ამიტომ ის რელიგიების და სხვა მორალური პრინციპების მიხედვით აკრძალული და დაგმობილია.

ისლამის მიხედვით კატეგორიულად აკრძალულთაგან ერთ-ერთი სწორედ რომ აზარტული თამაშებია.

ისლამის დებულებებში აზარტული თამაშების ყველა სახე არ არის ჩამოთვლილი და თამაშის აკრძალულობა რამოდენიმე მაგალითითაა განხილული. გამომდინარე აქდან, მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ დებულებებში ნახსენები სახეობებია აკრძალული, მცდარია. თამაშის აკრძალვისას ისლამი ითვალისწინებს არა თამაშის სახეობას, არამედ თამაშის შედეგებს. ამიტომ ამ ყველაფრის კარგად გაგება აზარტული თამაშების აკრძალვის საჭიროებების კარგი ანალიზისა და თამაშის არსის კარგად გაგებაზეა დამოკიდებული. ის-

ლამის სწავლულები თავიანთი თანამედროვე ეპოქის შესაბამისად, ისლამის ძირითად წყაროებში მოცემული დებულების მიხედვით, აზარტული თამაშების აკრძალულობას განმარტავდნენ. ისინი ითვალისწინებდნენ ამ აკრძალვის მიზეზებსა და თამაშის ყველა უარყოფით შედეგს.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ისინი გეკითხებიან შენ ალკოჰოლური სასმელისა და ყუმარის შესახებ. მიუგე: ორივე დიდი ცოდვაა და სარგებელიც ხალხისთვის, მაგრამ ცოდვა უფრო ჭარბია, ვიდრე სარგებელი. და გეკითხებიან, რა გასცენ. უპასუხე: საჭიროზე ზედმეტი. ასე განვიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგებ დაფიქრდეთ“. (ბაყარა 219)

შემდეგ აიათში კი ყუმარი კატეგორიულად აკრძალულია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალკოჰოლური სასმელი, აზარტული თამაშები, კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია. განერიდეთ ამას, ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ!

უეჭველად, ეშმაკს სურს მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდება თქვენს შორის ალკოჰოლური სასმელითა და აზარტული



თამაშებით. ამით უნდა მოგაცდინოს თქვენ ალლაჰის ხსენებასა და ღოცვას. უკვე თავი ანებეთ არა ?!” (მაიდე 90-91)

როგორც აიათითაა ნაბრძანები, ყურანი კაცობრიობის ორ მნიშვნელოვან უბედურებას, ალკოჰოლურ სასმელებსა და აზარტულ თამაშებს კრძალავს. აკრძალვის მიზეზი კი ღვთისმსახურებისთვის ხელის შეშლა, ადამიანებს შორის მტრობის და შეუღლის ჩამოგდება, ბოროტების და ძალადობის დამკვიდრება და მსგავსი მოსალოდნელი შედეგებია.



წმ. შუამავალიც თავის ჰადისებში კრძალავდა, როგორც ცნობილ თამაშს „მეისირ“-ს, ისე სხვა, იმ დროისათვის ცნობილ აზარტულ თამაშებს. კატეგორიულად დაგ-

მობილია თამაშის შედეგად მოგებული ფული და მოთამაშეები.

ისლამის მიხედვით აზარტული თამაშები მოიცავს არა მხოლოდ შეზღუდულ სახეობებს, რაც ისლამის მოვლინების პერიოდში იყო, არამედ ყველა იმ თამაშის სახეობას, სადაც არის მოგების ან წაგების ალბათობა. მოგებული ფულის მოწყალებად გაცემა და მსგავს სამადლო საქმეში დახარჯვა აზარტული თამაშის აკრძალულობას არ ცვლის.

ისლამის მთავარი პრინციპებიდან ერთ-ერთი პატიოსანი შრომით მოპოვებული სარჩოს დაცვა, ეკონომიკური შემოსავლების სამართლიანად გადანაწილება და კეთილდღეობის მაქსიმალურად ფართო მასებზე გავრცელებაა. ამიტომ ისლამი მოუწოდებს ადამიანებს დედამიწა საცხოვრებლად უკეთეს ადგილად აქციონ, ადამიანური ცხოვრების პირობები დაიცვან, იშრომონ და ისე მოიპოვონ სარჩო. გარდა ამისა, ისლამი კრძალავს უშრომლად, დაუმსახურებლად სხვისი კუთვნილი ქონების მითვისებას. ყურანში ნაბრძანებია, რომ მუსლიმმა ადამიანმა სარჩო ალალი გზებით უნდა მოიპოვოს.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკ-

ლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენ-  
დამი!“ (ნისა 29)

ისლამის მიხედვით, ყუმარი ფულის მიღე-  
ბის არალეგიტიმური გზაა. მოთამაშე ადა-  
მიანი შრომას მოცდება და ალალი შრომით  
მოპოვებული სარჩოს ბედნიერებას ვეღარ  
ელირსება.

ახარციული თამაშის დროს მოგების  
შემთხვევაში სხვა ვაზარალებთ, ხოლო წა-  
გების შემთხვევაში ჩვენ ვაზარალებით.  
მოგება, რომელიც სხვისი წაგების შედეგად  
მოდის ალალი ვერ იქნება. როცა არსებობს  
ფულის შოვნის ისეთი გზა, როდესაც სხვას  
არ დავაზარალებთ, თამაშის გზის არჩევა  
რა თქმა უნდა სწორი არ არის.

შემოსავალი ალალი რომ იყოს, მისი  
ალალი გზებით მოპოვებაა საჭირო. ალალი  
გზებით სარჩოს მოპოვება, ისლამის მიხედ-  
ვით ღვთისმსახურებად ითვლება. „რომე-  
ლია ყველაზე სუფთა და ალალი გზით მი-  
ღებული მოგება?“ - კითხეს შუამავალს. მან  
კი უპასუხა: „ადამიანის ხელით ნაშრომი  
და პატიოსანი, სხვისი მოტყუების გარეშე  
ვაჭრობისგან მიღებული შემოსავალი.“

ყურანში ღმერთი ბრძანებს:

„და რომ არფერია ადამიანი, გარდა ილ-  
კწოდა რასაც.“ (ნეჯმ 39)

შემოსავლის მისაღებად შრომა და ალა-  
ლი გზებია მისაღები და არა შემთხვევი-  
თობაზე და გამართლებაზე დამყარებული  
საქმიანობა.

ისლამი გვთავაზობს საზოგადოებრივი  
წყობილების ისეთ მოდელს, სადაც შრო-  
მა დაფასებულია და მატერიალური და სუ-  
ლიერი ღირებულებები ვითარდება. ისლა-  
მის მიხედვით არამარტო კონკრეტულად  
აზარტულ თამაშში მონაწილეობაა მიუღე-  
ბელი, არამედ თამაშისკენ წაქეზებაც. ჰა-  
დისში ნაბრძანებია: „ვინც მეგობარს ეტყ-  
ვის, მოდი ვთამაშოთ, ამ ცოდვის გამო მოწ-  
ყალება უნდა გასცეს.“

ისლამის მიხედვით მიღებული და ალა-  
ლი შემოსავალი შრომის შედეგად მიღებუ-  
ლი შემოსავალია. ამიტომ, ყოველი მუსლიმი  
უშრომელ, სხვისი ზურგით მოპოვებულ და  
არალეგიტიმური გზებით მიღებულ შემო-  
სავლებს კატეგორიულად უნდა მოერიდოს.  
ყველამ უნდა მიაქციოს ყურადღება საიდან  
და როგორ იღებს შემოსავალს. შემოსავ-  
ლის გზები ლეგიტიმური და ალალი უნდა  
იყოს. მორწმუნე მუსლიმმა ოჯახი ალალი  
ლუკმით უნდა გამოკვებოს. გარდა ამისა,  
ღმერთის გზაზე დახარჯული ფულიც ალა-  
ლი შრომით მოპოვებული უნდა იყოს. არა-  
მი ფული სიკეთეს ვერ მოიტანს. ადამია-  
ნის ვედრება მისაღები რომ გახდეს, ალალი  
საკვებით უნდა იკვებებოდეს.

გარდა ამისა, წმ. შუამავალი ბრძანებდა:

„ღმერთი წმინდაა. მხოლოდ წმინდაა მისთვის მისაღები. ღმერთმა რაც უბრძანა შუამავლებს, იგივე უბრძანა მორწმუნეებსაც“.

ყურანში კი ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი, შუამავალნო! იგემეთ სუფთანი და აკეთეთ სიკეთე. უეჭველად, მე ვუწყი იმას, რასაც აკეთებთ!“ (მუ'ინუნ 51)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას სცემთ თაყვანს.“ (ბაყარა 172)

გარდა ამისა შუამავალი ბრძანებს:

„ადამიანი, რომელიც ღვთის გზაზე ხანგრძლივ ლაშქრობაში წავა, თმაგაბურ-ძგენილი და მტვერში ამოგანგლული ხელებს ალაპყრობს და ღმერთს შეევედრება. არადა არამს ჭამს, არამს სვამს, არამს იცვამს. ასე არამით ნაკვები ადამიანის ვედრება განა მიიღება?“ (მუსლიმ, ზექათ 19)



### აზარტული თამაშები მულანგველობაა

აზარტული თამაშები დროის ფუჭად ფლანგვაა. ეს არის უყაირათოდ განიავებული ფული. ეს არის მომავლისთვის უფრო ნაკლები დროის დათმობა. აზარტული თამაშები არამარტო ფინანსურ ზიანს მოგვიტანს, არამედ მას მიაქვს ადამიანის გონებრივი ენერგია და დრო. აზარტული თამაში მფლანგველობაა.

მფლანგველობა მოთხოვნილებების საზღვარს გადასვლაა. ეს არის ფულის განიავება და უსარგებლო საქმეში ხარჯვა. ამგვარი გადაჭარბებული ხარჯვა ღმერთის მიერ დადგენილი წესის უგულვებელყოფაა. მფლანგველობაა ასევე როცა ადამიანი ღმერთის მიერ მოწონებულ გზაზე არ ხარჯავს და არამ გზას ირჩევს.

ხარჯვა, რომელიც მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, თავისი ფორმით ლამაზი არ არის, უსარგებლოა, უმიზნო და არალეგიტიმურია, ყველა მფლანგველობაა. ასევე მფლანგველობაა საკვები ნივთიერებების გაფუჭება, პურის, საჭმლის, მწვანილის და ა. შ. ნაგავში გადაყრა, მოძველებული, მაგრამ ჩასაცმელად ვარგისი ტანსაცმლის გადაყრა, ჯერ კიდევ გამოსადეგი ავეჯის გადაყრა, ელექტროენერჯიის ხარჯვა, როცა საჭირო არ არის, ასევე წყლის ტყულად დინება და უფრო მეტიც, ზედმეტი ჭამა და სმაც ამ კატეგორიაში შედის. რა თქმა უნდა მფლანგველობაა ფულის აზარტულ თამაშში, ალკოჰოლურ სასმელებში და მრუშობაში დახარჯვა და შესაბამისად ის არამია.

ყურანში ნაბრძანებია:

„და მიეცი მისი კუთვნილი ნათესავს, ღატაკსა და მგზავრს! მაგრამ გადაჭარბებულად არ გაფლანგო!

უეჭველად, მფლანგველები ეშმაკის ძმები არიან, ხოლო ეშმაკი უმადურია თავისი ღმერთის წინაშე.“ (ისრა 26-27)

აზარტული თამაშის სამყაროში გადაშვება, დროის უმეტესი ნაწილის წითელი და შავი ფერებით გაწყობილ სათამაშო მაგიდებთან ან სათამაშო აპარატებთან გატარება დროის, ფულის, ახალგაზრდობის, გო-

ნების და სიცოცხლის მფლანგველობაა.

აზარტული თამაშები ქონების ფლანგვაა. მოთამაშე ადამიანი შეიძლება წლების განმავლობაში შრომითა და ტანჯვა-წამებით ნაგროვებ ქონებას ერთ წამში წააგებს და გაანადგურებს.

წაგების შემდეგ ადამიანი დიდ სულიერ ტრაგედიას განიცდის, ხდება აგრესიული და ხშირად თავს ესხმის მას, ვისთანაც წააგო. ამგვარი კონფლიქტი ხშირად მკვლევლობით მთავრდება. თამაშის დროს კონფლიქტები მხოლოდ მოთამაშეებს შორის არ რჩება და ისინი ხშირად ოჯახის სხვა წევრებზეც ვრცელდება. საფრთხე ექმნება ოჯახურ ბედნიერებას და ერთობას, რაც საბოლოო ჯამში ოჯახის დანგრევას იწვევს. საბოლოო ჯამში ცნობილი ფაქტია, რომ აზარტული თამაშების მიზეზით უამრავი ოჯახები ინგრევა.

### აზარტული თამაშები დროის მფლანგველობა

დრო მჩქეფარე მდინარეა. დრო თავისთავში იტევს კარგსა და ცუდს, დადებითსა და უარყოფითს და ასე მიედინება. ვისთვის ის წამალია, ვისთვის წამება. ვისთვის დრო სიცარიელეა, ვისთვის სავსე და შინაარსიანი. ვისთვის ძალიან ხანმოკლეა, ვისთვის



კიდევ უზომოდ ხანგრძლივი... ამ ყველაფრის მიუხედავად კი დრო ჭეშმარიტებაა. დრო, ეს არის ღმერთის წყალობა ადამიანებისთვის.

ყველაფერი დროის მიხედვით არსებობს, ვითარდება და ასევე დროთა განმავლობაში ნადგურდება. ცოდნა, მეცნიერება, ქონება და სხვა მრავალი ღირებულებები, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, დროთა განმავლობაში იქნმება.

ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ფიციავ, ღესვრს!

„უჭკველად, ადამიანი წაგებულია!

გარდა მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, და ერთმანეთს ჭეშმარიტებასა და მოთმინებას ამცნობენ!“ (ასრ 1-2-3)

აიათში სწორედ დროის მნიშვნელობაზეა აქცენტი გაკეთებული.

წმ. შუამავალი ბრძანებდა:

„ხუთი რამის მოსვლამდე, ამ ხუთი რაღაცის ფასი იცოდეთ: ავადმყოფობის მოსვლამდე ჯანმრთელობის, მოხუცებულობამდე ახალგაზრდობის, სიღარიბის მოსვლამდე სიმდიდრის, მოუცლელობის მოსვლამდე თავისუფალი დროის და სიკვდილის მოსვლამდე სიცოცხლის.“ (ჯემი'უსსალირ 1, 40)

ჩვენი ცხოვრება წამებზე, წუთებზეა დამოკიდებული. მთელი ჩვენი ქონებაც რომ გავიღოთ, გასულ ერთ წამსაც უკან ვერ დავიბრუნებთ. გამომდინარე აქედან, დრო ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.

თუმცა, სამწუხაროა, რომ დრო იმ წყალობათა შორისაა, რომლებსაც ადამიანი სათანადოდ ვერ აფასებს და შინაარსიანად არ იყენებს. მოწყენილობა, დროის ფუჭად ფლანგვა თანამედროვე ეპოქის დაავადებებია. ეს არის მოურჩენი ტკივილი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დროის შინაარსიან გამოყენებაზე არ ფიქრობენ. ადამიანი, რომელიც ღამეებს სათამაშო სახლებში ატარებს და თამაშის მორევემა ჩაფლული, ნამდვილად უნუგეშოა.

სათამაშო მაგიდასთან მჯდარი მოთამაშე ფიქრობს, რომ მოიგებს, მაგრამ ის უკვე აგებს მთავარს, სიცოცხლის საუკეთესო წუთებს. მის მიერ წაგებული მხოლოდ ის ფული არ არის, რაც მაგიდაზე დატოვა. ის აგებს გაცილებით მეტს. თამაშის დროს დაკარგული ძალისხმევა მისი ცხოვრების წარმართვის პოტენციალს აკლდება. მოგება კი უსაშველო სიცარიელე და მარტოობაა. ვერანაირი მოგებულ ფული ვერ დაუბრუნებს მას ოჯახის დაკარგულ სიყვარულს. მოგება სიბნელე და სიცივეა. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი წაგებულია.

ერთხელ ეფლათნმა თავისი მოსწავლე თამაშის დროს დაიჭირა და სასტიკად გაუწყრა. მოსწავლემ თავი იმართლა, მცრე თანხაზე ვთამაშობდიო. ეფლათუმნა უთხრა, მე წაგებული თანხის გამო კი არა დაკარგული დროის გამო გიწყრებო.

მოთამაშე ადამიანი დროის ფუჭად ხარჯვასთან ერთად თავის დროზე ვერ ასრულებს ღვთისმსახურებასაც, რაც მისი აუცილებელი მოვალეობაა.

სამყაროში არსებული წესრიგი, გასული დღეები, მიმქრალი სიცოცხლე, ჭადარაშეპარული თმები, მოახლოებული სიკვდილი ბევრ რამეს ეუბნება მათ, ვისაც მოსმენა და დაკვირვება შეუძლია.

ერთ დღეს უკანასკნელ გზაზე გაგვიყენებენ. იქ კი ჩვენი ნამოქმედარისა და სწორად გამოყენებული დროის გარდა არაფერი წაგვყვება.

ახარცული თამაშები ჯანმრთელობისთვის სახიანოა

ადამიანი ღმერთმა ყველაზე ღამაში ფორმით, ყველაზე საუკეთესო თვისებებით დაჟილდოვებული გააჩინა.

„უეჭველად, ჩვენ ადამიანი „საუკეთესო ფორმად“ გავაჩინეთ!“ (თინ 4)



ღმერთმა ადამიანს უბოძა ისეთი საოცარი თვისებები, როგორიცაა გონება და ნების გამოხატვის უნარი და ამასთანავე ჯანმრთელობა, გემოვნება, ქონება, შვილი და უთვალავი მსგავსი წყალობა.

შემოქმედმა იმდენი რამ უწყალობა ადამიანს, რომ მათი დათვლა რომც მოვიწადინოთ ვერასოდეს დავითვლით.

„და ვიბოძა თქვენ ყველაფერი, რაც შესთხოვეთ მას. და თუ აღლაპის წყალობათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. უეჭველად, ადამიანი უსამართლოზე უსამართლო და უმადურია.“ (იბრაჰიმ 34)

ამდენი რამის მბოძებელ შემოქმედს ადამიანისგან მხოლოდ ის უნდა, რომ ადამიანმა ამ ყველაფრის ფასი იცოდეს. ადამიანმა უნდა იცოდეს ამ ყველაფრის რიგიანად

გამოყენება და მათი გამოყენებისთვის ბოძებული სიცოცხლეც აზრიანად უდა მოიხმაროს. გარდა ამისა, ღმერთი, ამ უბადლო წყალობათაგან რომელიმესთვის საფრთხის შექმნას და ზიანის მიყენებას კრძალავს.

„გაიღეთ ალლაჰის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფთხეში თქვენივე ხელით, და სიკეთე აკეთეთ. შეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმყოფელები.“ (ბაქარა 195)

ღმერთი მოუწოდებს ადამიანებს მათ ხელთ არსებული მატერიალური და სულიერი ღირებულებები დააფასონ და არ გაფლანგონ.

„ჰეი, ადამის შვილნო! აიღეთ თქვენი მორთულობა ყოველ სალოცავთან, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, შეჭველად, მას არ უყვარს ზღვარგადასულნი.“ (არაფ 31)

ადამიანზე მინიჭებულ წყალობათა შორის ერთ-ერთი მთავარი ჯანმრთელობაა. წმ. შუამავალი ბრძანებდა:

„არსებობს ორი წყალობა, რომელთა ფასი ადამიანმა არ იცის. ესენია: ჯანმრთელობა და თავისუფალი დრო.“

მართლაც და ადამიანები არ ვაფასებთ ჯანმრთელობას და თავისუფალ დროს, გვგონია რომ მუდმივად გვექნება და ერთ

დღეს როცა ისინი დასრულდება, ფასს მერე ვხვდებით.

ჯანმრთელობას განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის ისეთი საზიანო რამეები, როგორცაა ალკოჰოლური სასმელები, ნარკოტიკები, სიგარეტი და აზარტული თამაშები. ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მასზე გაფრთხილება რელიგიური ვალდებულებაა, ვინაიდან ყველაფერი სიჯანმრთელება და მოკიდებული. ჯანმრთელობა ადამიანებისთვის ნაბოძები დიდი წყალობაა.

ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„გაიღეთ ალლაჰის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფრთხეში თქვენივე ხელით, და სიკეთე აკეთეთ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმყოფელები.“ (ბაყარა 195)

ყურანი ნათლად მოუწოდებს ადამიანებს თავი საფრთხეში არ ჩაიგდონ და ჯანმრთელობას გაუფრთხილდნენ. გამომდინარე აქედან, ადამიანი ვალდებულია აზარტული თამაშებისგან თავი შორს დაიჭიროს, რადგან სწორედ აზარტული თამაშები, ისევე როგორც ყველა მავნე ჩვევა, ვნებს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გონებას. აზარტული თამაშები ადამიანს თავის ტყვეობაში აქცევს და მის შემოქმედებით უნარს სპობს. ასევე აზიანებს ადამიანის სულიერ და ფი-

ზიკურ სიჯანსაღეს. აზარტის გამო ადამიანები დილაძდე სათამაშო მაგიდასთან რჩებიან. იქ ისინი არამარტო ფულს, არამედ ჯანმრთელობასაც აგებენ. ამგვარი ცხოვრების წესის გამო არეული აქვთ დღე და ღამე, ჭამისა და ძილის საათები. შესაბამისად დაკარგული აქვთ ნორმალურად დასვენებისა და ძაღების აღდგენის შანსიც.



აზარცული თამაშები და ამბიციი

აზარტული თამაშები ამბიციის საქმეა და მოთამაშე ადამიანი ამბიციურია. ამბიციას დასასრული არ გააჩნია და ეს არის სასურველი რაიმის მიღწევის არანორმალური სურვილის გამოსატვა. თუმცა ეს ამბიციი ყოველთვის მსოლოდ მოგების სურვილით არ შემოფარგლება. ამბიციი ერთგვარი თვითგანადგურების უინია.

თამაშის დროს არსებობს მოსაგები ობიექტი, რის გამოც მოთამაშე თავის ამბიციას ამ კონკრეტული ობიექტის მოსაგებად წარმართავს. თუმცა პრობლემა მხოლოდ მოგების სურვილში არ გახლავთ. მოთამაშისთვის მოგება მეორეხარისხოვანი გეგმაა. სინამდვილეში არსებობს აბსტრაქტული ამბიცია, რომელიც უფრო და უფრო მძაფრდება. თამაშის დროს მოსაგების ღირებულება, ლოგიკურად, შესაძლო წასაგების ღრებულების ტოლია. აქ მთავარი მოგება და წაგება არ გახლავთ. მიზეზი სხვა რამაა. მოთამაშისათვის თამაშის გარეშე მოგებასა და წაგებას შორის განსხვავება არ არსებობს. თამაშის გარეშე მოგების ან წაგების შემთხვევაში მისი ამბიცია არ დაკმაყოფილდება. მოთამაშის ფარული მიზანი მისი ამ შინაგანი ამბიციის სურვილების ასრულებაა.

აზარტულ თამაშებს სწორედ ამის გამო თამაშობენ. რამდენი მოთამაშე ყოფილა, რომლებსაც საქმოსნობით უფრო მეტი მოუგია, ვიდრე თამაშში, ან პირიქით, მაგრამ ნამდვილი მოთამაშე თამაშს არასოდეს შეეშვება. მოთამაშე ზოგჯერ იგივე დროს უთმობს თამაშს, რასაც სამსახურს, ან იქნებ მეტსაც, მაგრამ თუ ბუნებით ჩამოყალიბდა მოთამაშედ, ვერავითარი ძალა თამაშისგან ვერ ჩამოაშორებს.



თამაშის ამბიციის უმეტესწილად თავგადასავლების მოყვარულ ადამიანებს ემართებათ. ისინი ყოველ ახალ თამაშს ახალი თავგადასავლის დასაწყისად მიიჩნევენ. თავგადასავლის სურვილი ხომ შეუცნობელის დაპყრობის მცდელობაა. თავგადასავლების მოყვარულებმა იციან მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, მაგრამ მათი ამგვარი თავგადასავლებისგან ჩამოცილება შეუძლებელია. ის ინტერესი, ის ჟინი მხოლოდ გზაზე გადგომითა და სასურველის შეგერძებით კმაყოფილდება. ის ამ გზას ბოლომდე გაჰყვება. ყოველი ახალი მოგზაურობა კი შემდეგი მოგზაურობისთვის სამზადისია.



ამბიციის გარეშე არ იქნება წარმატება, ამტკიცებენ ზოგიერთები და ეს შეიძლება

მართალიც იყოს. თუმცა ამბიციის შეუკავებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგებიც უნდა გავითვალისწინოთ.

ამბიცია ზოგჯერ კარგიცაა. ეს დამოკიდებულია მიმართულებაზე თუ საით წარემართავთ ჩვენს ამბიციას. მაგალითად შრომის, წარმატების, წარმოების და განვითარების ამბიცია დადებითია. ამბიცია შეიძლება მიმართულ იქნას აზარტული თამაშების ან თავგადასავლებისაკენ. ან შეიძლება მიმართულ იქნას პოლიტიკის, ხელოვნების ბიზნესის მიმართულებით. გამომდინარე აქედან ამბიციას ფასი ენიჭება მიმართულების მიხედვით. მიმართულება ან დადებითი და სასარგებლო იქნება, ან უარყოფითი და საზიანო.

### აზარტული თამაშები სუსტი ნებისყოფის გამოვლინებაა

მაღალმა შემოქმედმა ადამიანს მიანიჭა ძლიერი გონება, რომელიც კარგსა და ცუდს, სასიკეთოსა და საზიანოს ერთიმეორისგან განასხვავებს. ადამიანს, თავისი ნების წყალობით შეუძლია თავი დაადვინოს ბევრ მავნე ჩვევას და შეძლოს მრავალი სიძნელის გადალახვა. მთავარია გონების სწორად გამოყენება და განვიტარება.

თავისუფალი ნებასურვილის ქონა, არჩევანის თავისუფლება, არჩევანის მიხედვით ცხოვრება თავისუფალ ქცევას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით ჩვენი არჩევანი გონივრული უნდა იყოს და ჩვენი ნება გონების გამოყენების მეშვეობით უნდა წარვმართოთ. სწორედ თავისუფალი ნების გამოხატვის ეს მხარე ანიჭებს ადამიანს ასეთ მაღალ მდგომარეობას. ადამიანი სწორედ ამის გამო მრავალ სიძნელეებსაც გადააწყდება ხოლმე.

აზარტული თამაშები ადამიანს აზარმაცებს და სწორად აზროვნების უნარს უმოქმედოდ გადააქცევს. ის ასუსტებს ადამიანის ნებისყოფას და ამდენად უკიდურესად საშიში მავნე ჩვევაა.

აზარტული თამაშები ნებისყოფის სურვილებზე დამოკიდებულების გამოვლინებაა. ეს არის ხაფანგი, რომელიც გვაიძულებს დილამდე სათამაშო მაგიდასთან დავრჩეთ.

სათამაშო სალონებში მეოფე მოთამაშეებს თუ დავაკვირდებით რობოტებს გვანან. ეს ჩვევა ადამიანს სხვა მიზნებისგან ჩამოაშორებს და ერთი მიმართულებით მიათრევს.

აზარტული თამაშები ანგარიშგების აღრევაა. ეს არის განკითხვის დავიწყება და ცდუნებების სიმძიმის ქვეშ მოქცევა. ეს

არის სინანული. უკან მოხედვისას კი გულის კუნჭულში სიცარიელის დანახვაა.

მთამაშე ადამიანმა თამაში ერთ დღეს რომ მიატოვოს, მთლიანად გადარჩება მისგან. მაგრამ როდის მოვა ის „ერთი დღე“? ამ დღის ლოდინისას ის ძალიან უიმედოა. რაც უფრო მეტს თამაშობს მეტს აგებს და მეტს ნანობს. რაც უფრო მეტს თამაშობს უფრო მეტად უნდება თამაში. ის მუდმივად ამ მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს.



ახარცული თამაშები საზოგადოებრივი უბედურებაა  
ახარცული თამაშები საზოგადოებრივი

უბედურებაა. სარწმუნოებითაც აკრძალული ეს დამანგრეველი ბოროტება არღვევს ოჯახის სიმშვიდეს, ქმნის გაუგებრობებს და უთანხმოებებს, ბევრ ოჯახს საერთოდ ანგრევს და აფუჭებს ახლო მეგობრებსა და უახლოეს ნათესავებს შორის ურთიერთობებს.

აზარტული თამაშები მოწესრიგებულ ცხოვრებას მოუწესრიგებელს ხდის. ის საფუძვლიანად არყევს სოციალურ ცხოვრებას. ადამიანს მეოცნებეობისა და სიზარმაცისკენ უბიძგებს და მის შრომისუნარიანობას სპობს.

აზარტული თამაშების გავრცელების კვალდაკვალ საზოგადოებრივი ზიანი მატულობს. შრომის ადგილს სიზარმაცე იკავებს. საქმიანო ცხოვრების ტემპი იკლებს და დოვლათი აღარ იქმნება. წაგებულის უკან დასაბრუნებლად კი ხშირად კრიმინალურ მეთოდებს იყენებენ. იმატებს მკვლელობები, ქურდობა.

აზარტული თამაშებს ბევრი სხვა უბედურება მოაქვს. თამაში მოთამაშეს მუდმივად დანაშაულისკენ უბიძგებს. წაგებული ადამიანი, რომელსაც სათამაშოდ აღარაფერი დარჩა, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ნებისმიერი გზებით ცდილობს იშოვოს ფული, რათა ისევ ითამაშოს. მას უკვე სამსახურიც დაკარგული აქვს, შემოსავალი აღარ გააჩ-

ნია, ჩავარდნილია ვალებში, ამიტომ ის მზადაა მოიპაროს, ითაღლითოს, ჩაიდინოს მკვლევლობა, დააყაჩაღოს ვინმე და მიმართოს ნებისმიერ კრიმინალურ მეთოდს. ამრიგად, აზარტული თამაშები მრავალი დანაშაულის მიზეზი ხდება. ამ თვალსაზრისით ის სპობს საზოგადოებრივ წესრიგს და ჰარმონიას და ზოგადად საზოგადოების ზნეობას.



მეორეს მხრივ აზარტული თამაშები, ისევე როგორც სხვა მსგავსი გასართობი საშუალებები, განუვითარებელი ქვეყნების დაავადებაა, რადგან ის უმუშევრობის, სიღარიბის, სოციალურ კლასებს შორის უთანასწორობის პირობებში ერთგვარი იმედის როლს თამაშობს. ამ პროცესში ადამიანების უმეტესობა გაწბილებული და იმედგაცრუებულია, ხოლო რამოდენიმე ადამიანი კი უშრომლად, ყოველგვარი ამაგის გარეშე

მდიდარი ხდება. ეს იწვევს საზოგადოებრივი თანხმობის მოშლას და შურის გაღვივებას. ბუებრივია ეს ყველაფერი საზოგადოებრივ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად უარყოფითად მოქმედებს.



### აზარცულ თამაშებზე დამოკიდებულება

„ამ ერთხელ არაუშავს“, ამ სიტყვებით დაწყებული აზარტული თამაში, ისევე როგორც ყველა ცოდვა, მოკლე ხანში ჩვევად გადაიქცევა და ადამიანს მასზე დამოკიდებულს გახდის. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს ეცოდინება ეს ყველაფერი მას განადგურებს, მაინც ვერ მოეშვება და იგივეს განაგრძობს. მოთამაშე ადამიანმა იცის, რომ თამაშის გამო მრავალი ადამიანი გაუბედურდა და ოჯახი დაენგრა, მაგრამ მაინც თამაშობს.

თამაშზე დამოკიდებული ადამიანი მოგების სურვილითაა შეპყრობილი, მაგრამ რასაც ის ამ დროს კარგავს, ვერასოდეს აინაზღაურებს. ვერავის ეყოფა ძალა აღადგინოს ის ზიანი, რომელსაც ობლად დარჩენილი პატარა ბავშვის ტირილი იწვევს. თვალცრემლიანი მეუღლის დილაამდე მომლოდინე თვალების მზერას და იმედგაცრუებას უკან ველარაფერი დააბრუნებს. სინამდვილეში, სათამაშო მაგიდასთან წაგებულნი ძვირფასი ადამიანების გრძნობებია. თამაშში, ეს სიცოცხლის განადგურებაა.



იქნებაც ზოგისთვის სასიამოვნოდ დროის გატარება და გართობაა თამაში. თუმცა ამგვარი უწყინარი და მარტივი მიახლოება საკითხისადმი, არ ითვალისწინებს როგორ



სწრაფად ეჩვევა ადამიანი ამ ბოროტ ჩვევას. მოგებული ყოველი თეთრი, ერთი შეხედვით უწყინარი გართობა, მთელი ცხოვრების მასზე მიძღვნის საფრთხეებს წარმოშობს. თამაში ეს ლაბირინთის ტყეობაში ყოფნაა. წაგებასა და ჩავარდნებს შორის ადამიანი ფეხზე წამოდგომას ვეღარ ახერხებს. წამოდგება თუ არა მოსაჭიდელებელ ტოტს ვეღარ პოულობს და ისევ ჭაობში ეფლობა.

თამაშზე დამოკიდებულება თამაშის სურვილის კონტროლის დაკარგვაა. ამ მანე ჩვევის მიერ მოტანილი ზიანი არამხოლოდ მასთვის და მისი ოჯახისთვის მატერიალური და სულიერი დეგრადაციით განისაზღვრება, არამედ მოთამაშე ადამიანს ფსიქოლოგიური პრობლემებიც უჩნდება.

მოთამაშე თავიდან ფიქრობს, რომ მხოლოდ „თამაშს“ თამაშობს. უფრო მეტიც, ის დარწმუნებულია, რომ სასურველი დროით, სასურველი რაოდენობის თანხაზე თამაშის გაკონტროლება შეუძლია. თუმცა, როგორც კი მიხვდება, რომ ის უკვე ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას და ეს ერთგვარი დაავადებაა, ამ ტრაგედიის მეორე ნაწილი უკვე დაწყებულია. ამ ნაწილში თამაშის სურვილის გაკონტროლება უკვე შეუძლებელია. ყოველი ახალი დღე მისთვის უარესისკენ მიმავალი დღეა. ის უკვე ვეღარც კი გრძნობს იმ მცირე სიამოვნებას, რომელსაც თა-

მაშის დასაწყის პერიოდში გრძნობდა. ახლა უკვე იმ დამანგრეველი ჩვევის დრო იყო დამდგარი, რომელიც სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე დამანგრეველად მოქმედებს. ეს უკვე ქრონიკული დაავადებაა, „თამაშზე დამოკიდებულება“.

ადამიანს აქვს მოთხოვნილება დრო გაატაროს და გაერთოს. ადამიანი ანგელოზი არ არის. თუმცა, გართობისას ლეგიტიმაციის ჩარჩოები არ უნდა გადავლახოთ და თამაშის მსგავსი მავნე ჩვევებისგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: „რაც ღმერთს გაშორებთ ყველაფერი თამაშია.“ გამომდინარე აქედან შუამავალი გვირჩევს გართობა წინა პლანზე არ დავაყენოთ და ღვთისმსახურება არ დავივიწყოთ. თამაში და გართობა საზოგადოებისთვის სასარგებლო უნდა იყოს. მაგალითად, თამაში გონების ან სხეულის განვითარებას უნდა ისახავდეს მიზნად.

მეცნიერები მოთამაშეებს ორ ჯგუფში განიხილავენ:

პირველი ჯგუფის მესვეურები გარისკვის შედეგად მიღებულ მღელვარებაზე არიან დამოკიდებულნი. იმის ალბათობის შეგრძნება, რომ მან შეიძლება მოიგოს ანდრენალინის რაოდენობას მაქსიმუმამდე სწევს

მაღლა. ამ ჯგუფში შემავალი მოთამაშეები ხალხმრავლობას და ჯგუფურად თამაშს ანიჭებენ უპირატესობას.

მეორე ჯგუფის მესვეურები კი ყოველდღიურობას და საკუთარ თავს გაურბიან, რის შედეგადაც თამაშს იწყებენ. მათი კომუნიკაციის უნარი განუვითარებელია და ზოგადად მარტო თამაშობენ.

რომელ ჯგუფშიც არ უნდა შედიოდეს, ყუმარბაზის ტვინში მხოლოდ და მხოლოდ თამაშია. წაგებისგან გაკვეთილს არასოდეს იღებს და რაცარუნდა ბევრი წააგოს მომავალში მოგების პერსპექტივის რწმენა არასოდეს შეერყევა. როცა ფიქრობს, რომ თამაშის გაგდებაა საჭირო, ამდროს ღიზიანდება თავს უბედურად გრძნობს. მისთვის თამაში პრობლემებისგან, მოწყენილობისგან სხვადასხვა ფიქრებისგან გაქცევის საშუალებაა. მისი ყველაზე დიდი ბრძოლა წაგებული ფულის უკანვე მოგებაა. მოგების შემთხვევაში კი ვერ ჩერდება. უნდა რომ მეტი და მეტი მოიგოს. თამაშზე დამოკიდებულება და თამაშის სიხშირე რომ დაფაროს ისეთ ტყუილებს იგონებს, რომლებსაც თვითონაც კი იჯერებს. ამგვარი ტყუილები იმის მომასწავებელია, რომ მოგვიანებით, როცა მოთამაშეს ფული აღარ ექნება, ფულის მოსაპოვებლად უკანონო გზებსაც გამოიყენებს.

მოთამაშისათვის თამაში კონცენტრაციის წერტილია, ამიტომ მისი ამ მიდრეკილების და სურვილის იქეთ ვერარაფერს ხედავს. ამ სიამოვნების მისაღებად კი ყველანაირ უაკანონო საშუალებებს( ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა და სხვა) მიმართავს. ამ გზაზე მდგარს სამსახურშიც და პირად ცხოვრებაშიც ურთიერთობები გაფუჭებული აქვს. ამიტომ დახმარებას აღარავინ უწევს. ის არასოდეს აღიარებს, რომ ამგვარ ქცევას უსკრულისკენ მიყავს და არც იმას შეიმჩნევს, რომ დახმარებას საჭიროებს.

ამ მდგომარეობაში უკვე ხშირია ოჯახის დანგრევა, პატივისცემის და ავტორიტეტის დაკარგვა, ციხეში მოხვედრა და სხვა. ბოლო გარდაუვალი ეტაპი კი თვითმკვლელობაა. ასეთ დროს ზოგიერთი ადამიანს ახლობლები ფულით ეხმარებიან და ამგვარი ფატალური შედეგის დადგომას გარკვეული ხნით გადადებენ ხოლმე. ამ დროს ფინანსურად კოტრდება, ოაჯხს წყდება ან ოჯახურ ძალადობას აქვს ადგილი. ასეთ ოჯახებში ბავშვებიც უყურადღებოდ და უსიყვარულოდ იზრდებიან, რაც მომავალში მათ ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების საფრთხეს ზრდის.

თამაშზე დამოკიდებულება სოციალური მნიშვნელობითაც დიდი ეფექტის მატარებელია. ვალების გადაუხდელობის გამო დაწ-

ყებული განქორწინებები და სხვა სამართ-  
ლებრივი პროცედურები მატულობს. ხში-  
რია გაკოტრება, თაღლითობა, გადასახადის  
დაფარვის შემთხვევები და ზოგადად კრი-  
მინალი.

საბოლოო ჯამში კი თამაში, რომელსაც  
ადამიანმა ყველაფერი შესწირა, მისი ცხოვ-  
რების ყველა სიკეთეს ართმევს. თამაშზე  
დამოკიდებულება ადამიანებს შორის პატი-  
ვისცემას აქრობს და ოჯახებისთვის უბე-  
დურება მოაქვს.

ოჯახებს ანგრევს  
ღირს ანადგურებს  
ემპიას ახარებს  
ცხოვრებას ვეღორებს

რამდენი ოჯახი დაანგრეულია  
ბინძური ფული რომ გაჩეულია  
ვხვას მომხიროლე ბავშვის თვალები  
თამაშის გამო განხვალეტი

დიღლათის მოვეისპობს თამაში  
ფული არ ვერჩება ჯიბეში  
მაგნე ჩეფეაა საშიში  
მიჩეფა ვეაგლებს დილეგში

ღირცუალური თამაში

განვითარებული ტექნოლოგიის პირობებში თამაში მხოლოდ მაგიდის გარშემო აღარ მომდინარეობს და უფრო ფართო მასების მისაწვდენად ინტერნეტშიც გადაინაცვლა. გარდა ამისა არსებობს თამაშის უთვალავი სახეობაც. ამგვარი ტენდენცია თამაშზე დამოკიდებულებს უფრო უადვილებს საქმეს და მათ შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად ითამაშონ. გარდა ამისა, ამ სიახლის ხელშეწყობით ახალი ტიპის ყუმარბაზებიც მომრავლდნენ.

დასაწყის ეტაპზე საიტებზე ახალგაზრდებს უფულოდ ათამაშებდნენ, ხოლო შემდეგ კი თამაშის ჭაობში ჩაითრიეს. ამრიგად ონლაინ პოკერი გავრცელდა და ერთგვარ ხაფანგად გადაიქცა. საქმე გაცილებით გაიოლდა და ერთი დაწკაპებით ნებისმიერს შეუძლია აზარტული თამაშის უკიდევანო სამყაროში აღმოჩნდეს. ვირტუალური თამაში რომ უფრო მიმზიდველი იყოს ამისათვის ყველაფერია ნაფიქრი. აქ ნაღდი ფულიც კი არ არის საჭირო. საკრედიტო ბარათი ან ანგარიშის მქონე ნებისმიერი ბარათი და ინტერნეტი სავსებით საკმარისია. გვერდები საოცრად ოსტატურადაა შექმნილი. თამაშების ფართო არჩევანი. მოგება წაგების ბალანსი თავიდან უცნობია, რადგან ფულის გადახდა ან აღება საკრედიტო

ბარათის ანგარიშის საშუალებით ხდება. კი მაგრამ ბოლოს?...ბოლოს ადამიანი და ადამიანობა იკარგება. მხოლოდ ფული კ არ იკარგება, ის მომავალი იკარგება რისი მოპოვებაც უკიდურესად ძნელია. იმედები, ოცნებები...ამ ტყვეობიდან თავის დასაღწევად მომავალთან თვალის გასწორებაა საჭირო.



### თამაშის ფული ღირსების ფულია

თამაშში მოგებული პიროვნება ცდილობს, რომ ასაღები ვალის ერთგვარი გარანტია მოიპოვოს. საამისოდ სამართლებრივი გზები ბუნებრივია არ გამოდგება. ამიტომ ადამიანისთვის ძალიან ძვირფას ღირებულებას, ღირსებასა და ნამუსს იფარებენ წინ, რათა მოგებული ფულის აღება შეძ-

ლონ. ამიტომ მიღებულია, რომ თამაშში წაგებულის გადახდა ღირსების საქმეა.

ზოგადი ზნეობრივი კანონების მიხედვით „ცუდ“-ად აღიარებული ჩვევის შედეგად, როგორცაა აზარტული თამაში, წარმოიქმნება ვალი, რომელიც ისეთი წმინდა მორალური ნორმის დახმარებით უნდა იქნას შესრულებული, როგორცაა ღირსება.

როდესაც სათამაშო მაგიდასთან ერთის მხრივ ნამუსი და ღირსება ფეხქვეშ ითელეება, მეორის მხრივ რა ლოგიკით უნდა იქნას ისინი გამოყენებული. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სათამაშო მაგიდასთან ყველაფრის წაგების შემდეგ ცოლსა და ქალიშვილზეც უთამაშია კაცს. ეს ვალიც ღირსების საქმეა? ამიტომ, თვით აზარტული თამაშია უღირსი ცხოვრების გამოვლინება და მისი მეორე სახელი.

აზარტული თამაში ის ჭაობია, სადაც ადამიანი იმ დონეზე ეფლობა, რომ სანამ ყველაფერს არ დაკარგავს და გადაუხდელ ვალებში არ ჩავარდება ვერაფერს გაიგებს კაცი.

### და ბოლოს

აზარტული თამაში ადამიანის შრომის სურვილს აქრობს და სიზარმაცისკენ უბიძგებს. ეს არის სურვილი სხვისი ფილის



უსამართლოდ მითვისებისა. ეს არის მანე ჩვევა, რომელიც პიროვნების ადამიანური ღირებულებების დაკარგვას უწყობს ხელს.

აზარტული თამაშები ადამიანებს შორის მტრობას წარმოშობს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში თამაში აქრობს სიყვარულსა და პატივისცემას, ასადგურებს სიძულვილსა და ქიშპობას, არღვევს სიმშვიდეს და ჰარმონიას და სამაგიეროდ მტრობასა და გაუტანლობას ნერგავს.

გარდა ამისა, თამაში არის ის სახიფათო მოვლენა, რომელიც ადამიანს ღვთისმსახურებას ჩამოაშორებს ხოლმე და ამით ღვთის კმაყოფილების მოპოვების შანსს დააკარგვინებს. ამის გამო ისლამი კატეგორიულად კრძალავს აზარტულ თამაშებს. თამაშის დროს შედეგი გაურკვეველია და რომელიმე მხრიდან აუცილებლად იწვევს ფინანსურ ზარალს. ამიტომ ყოველგვარი ქმედება, რომლის შედეგი გაურკვეველია და გამართლებაზეა დამოკიდებული და რამაც შეიძლება მატერიალური ღირებულების მოგება ან წაგება გამოიწვიოს მიუღებლად ითვლება, რადგან ეს ყველაფერი თუ პირდაპირ აზარტული თამაში არ არის, მისი მაპროვოცირებელი მაინცაა.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დღეს თამაშის გამო ახალგაზრდობას, ადამიანობას, მთელ კაპიტალს კარგავენ და

ამასთანავე ნადგურდება ისეთი ღირებულებები, როგორცაა მეგობრობა, პატივისცემა და სხვა. ინგრევა ოჯახები და უბედურდებიან ბავშვები.

მთელი ღამეების განმავლობაში სათამაშო სალონებში სათამაშო მაგიდებთან გატარების გამო ადამიანები კარგავენ ჯანმრთელობას, დროს, ფულს, ზნეობას და ამით უფრო და უფრო შორდებიან ადამიანობას. წაგებულის უკან დასაბრუნებლად კი კრომინალურ გზებს მიმართავენ და ხდება მკვლელობები, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვა მრავალი უბედურება.

აზარტული თამაშის დროს მოგებული ან წაგებული თითოეული გროშიდან ობლებს, ღარიბებს, ავადმყოფებს და სხვა სახის გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს თავიანთი წილი აქვთ.

ეს არის მათი უფლებების უხეში დაღვევა და ამგვარი ტენდენციები საზოგადოებრივ ცხოვრებას უფრო და უფრო პრობლემურს ხდის.

გამომდინარე აქედან, სანამ დროა ამ უბედურებისგან, რასაც აზარტული თამაშები ჰქვია დროზე უნდა გავთავისუფლდეთ. ჩვენი ცხოვრების შეცდომებს წერტილი უნდა დავუსვათ. დავაფასოთ ისინი ვინც გვიყ-

ვარს და ჩვენი და მათი სარჩო ალალი გზე-  
ბით მოვიპოვოთ.

ცნობილია, რომ ახარცული თამაშები  
მხარეებს შორის ბოროტებას, მტრობას და  
შუღლს აღძრავს. ასევე ნათელია შედეგიც,  
რაც საზოგადოებრივი ცხოვრების გაუსაძ-  
ლის მომავალს გულისხმობს. ამ ყველაფ-  
რისდანი გამომდინარე კი ყველას, ვინც ეს  
იცის და ამაზე ფიქრი შეუძლია ყურანის  
ენით უნდა ვკითხოთ:

„ნუთუ კიდევ არ ანებებთ თავს?“

დაავადებული მოთამაშის დღიურიდან

პროკურორი თავის მაგიდაზე დაყრდ-  
ნობილი კითხულობს. „მეურვისგან რამო-  
დენიმე აბზაცი: - მე, არსებობის ყველა წვ-  
რილმანით, აქეთ-იქეთ მიხედვის გარეშე,  
მხოლოდ ერთი მიზნისკენ დაუღალავად  
სწრაფვის ჭეშმარიტება ერთ-ერთი მოთამა-  
შისგან ვისწავლე. ფულის, ქონების, სულის  
და ყველაფრის თამაშში გაფლანგვის შემ-  
დეგ, ძველი დახეული შარვლისა და გულში  
შემორჩენილი მცირეოდენი ღირსების ჩათვ-  
ლით ყველაფრის თამაშზე შემწირველ ადა-  
მიანს ვკითხე: რატომ არ ანებებთ თავს ამ  
აშკარა უბედურებას?

მე აქედან უკან ვედარ დავბრუნდები. რაც  
დავკარგე ყველაფერი, უკანასკნელ გროშამ-

დევ რომ დამიბრუნდეს ისევ იძულებული ვარ იგივე გავაკეთო. შენ რასაც უბედურებას ეძახი, მისი ხიბლის მსგავსი ბედნიერება ჯერ არ მინახავს. ვერავითარი ძალა მას ვერ ჩამომასორებს. მოთამაშის ამ სიტყვებზე დავფიქრდი. თამაშზე ასეთი დამოკიდებულება ღმერთისადმი დამოკიდებულებით რომ შეიცვალოს, ეს ხომ ყველაზე დიადი მიზნის აღსრულება იქნება.

მე, როგორც ავადმყოფი მოთამაშე მისმა ამსიტყვებმა მომხობლა, მაგრამ ამ აშკარა ჭეშმარიტებისკენ ნაბიჯიც ვერ გადავდგი.

ღმერთმა გამაჩინა, რათა მასზე ვყოფილიყავი დამოკიდებული. თუმცა მე ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ ღმერთს დავშორებოდი. მე ამანათს ვუღალატე.

მე თამაშით მივხვდი, რა იყო ადამიანის ბუნება. ჩემმა შინაგანმა ბუნებამ ხელდამწვარი ბავშვივით ნებისყოფა ამირია. ხელდამწვარი ბავშვი ტკივილის შესამსუბუქებლად ხელს ცივ წყალში ყოფს, მაგრამ ხელის ამოღებისას ტკივილი უფრო გაუსაძლისი ხდება. მეც ჩემი სულის დამწვრობის დასაამებლად თამაშით გაგრილება გადავწყვიტე. ამგვარი წუთიერი დაამება მაღე გავიდა და სული მთლინად ავიმღვრიე. ჩემი ეს მოქმედება ჰგავდა მოწყურებული კაცის მიერ წყლის მაგივრად გაზის დაღუფას. რაც უფრო მეტი დავლიე, წყურვილმა

მიმატა. წყურვილმა მიმატა, მაგრამ გაზის გარდა სასმელი ვერაფერი ვნახე.

ადამიანის შინაგანი სურვილები იმდენად განებივრებულა, რომ ყველაფერი თავისი კუთვნილება გონია, ამიტომ აზარტულ თამაშებისთვის გონებას კარგავს. რომ უთხრა, ის ერთი ღარი ამოიღე და ამ ფუნთუშაზე მომზირალ ბავშვს მიეციო, არ მისცემს. თვენ არ იცით რა არის ადამიანის შინაგანი ნავსი. ამის გაგება მხოლოდ ჩემნაირ მოთამაშეს შეუძლია. უპოვრისთვის 20 თეთრიც კი შეენანება, მაგრამ ათასობით ღარს ერთ ღამეში წააგებს. მე მქონია შემთხვევები, როცა ფეხსაცმელი არ შევიძინე და ერთ ღამეში იმდენი ფული წავაგე, რაც ერთ ოჯახს მთელი თვე გამოკვებავდა. მე იმდენად ერთგული ვიყავი თამაშის, რომ იმ ფულს რომელიც ჯიბეში მქონდა თითქოს მისი ყოფილიყო, მთელი გულმოდგინებით ვუნახავდი და თავის დროზე ვაძლევდი. მე ამ ყველაფერს უნაკლოდ ვასრულებდი. დიას, ყუმარბაზი ასეთი ადამიანია. ის მუდამ ერთგულებით ატარებს ფულს რათა წააგოს.

გული ქაღს რომ მივუძღვნა, ეს შეუძლებელია. ქალი, თამაშის ცივ წყალთან შედარებით ადუღებული წყალია. არც დასაღევი. ეს რომ გავაკეთო, 10 წლის განმავლობაში ეს განდევნილი ეშმაკები წამში შეიკ-

რიბებიან და გამანადგურებენ. წიგნი? რომელი წიგნი? რა თქმა უნდა ცხოვრება, კალამზე გაცილებით ძლიერი...

ცხოვრებაში რაცარუნდა მაღლა ავიდე, ყოველთვის იმ ჩიტს ვგავარ, რომელიც გველის გაღებულ პირში აპირებს ჩავარდნას.

დღეს დედასთან ვიყავი. დედასთან, რომელსაც სულ გავუბოდი, ისევე როგორც რეალობას... გულმა მიგრძნო, მიდი, ნახეო, მითხრა. წავედი. ისეთი აზრიანი, საწყაალი, უიმედო და მოლოდინით აღსავსე თვალეზით შემომხედა, რომ ვერ ავხსნი.

- არ იფიქრო მეცოდებოდე, მითხა მან. - საკუთარი თავი ვისაც არ ეცოდება მისი შეცოდება სიმდაბლეს.

- საკუთარ თავს ატყუებ, ვუთხარი მე. ძალიან გეცოდები. შენ არ ხარ მდაბალი. სიმდაბლე ჩემშია. ეს მე ვარ.

ატირდა. ხელები კისერზე შემომახვია და მითხრა:

- მითხარი შვილო, რა გავაკეთოთ? რა გავაკეთოთ, რომ გადარჩე?

- სიკვდილს გარდა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ დედა.

დედას ფერი ეცვალა, სახე აუკანკალდა და ხმა გაეზარა.

- ნეტა! ღმერთმა შეისმინოს ჩემი ვედრება. თუ ვერ უნდა გადარჩე, დაე, მოკვდი.

შემდეგ ფეხზე წამოდგა და როცა ნახა ზურგი შევაქციე, მითხრა:

- არ გეგონოს შვილო იმიტომ გეუბნებოდე ასე, რომ შენ მამის დანატოვარი გაანიავე და მეზობლების სახლში შეხიზვნა მომისაჯე. შენ მე შვილი წამართვი. ჩემი ვაჟიშვილი. შენ სათამაშო მაგიდასთან მოკვდი და დასრულდი.

დედის ვედრება უკან არ ბრუნდება. დედის ვედრება შეისმინე ღმერთო.

ნეტა თუა შესაძლებელი სიკვდილამდე ვიტირო. უკანასკნელ ცრემლის წვეთამდე ვიტირო. მერე კი ჩემი გამომხმარი სხეული სადღაც მინდორში მომკვდარი გამომშრალი მწერის მსგავსად მოკვდეს.

ექიმს ვუთხარი:

- ამდენი დაავადების საწინააღმდეგო აცრა არსებობს და ნუთუ თამაშის საწინააღმდეგო არაფერი იცით ექიმებმა?

- ეს ყველაფერი ფიზიკური დაავადებებია. მათი წამალიც ნივთიერებაა. თამაში სულიერი დაავადებაა. გამოსავალიც სულიერებაში უნდა ეძებო.

- მაგალითად?

- სარწმუნოება.

- სარწმუნოებისადმი დამოკიდებულება ადამიანის მიხედვით იცვლება. ზოგისთვის ის ჟაჭვზე უმტკიცესია, ზოგისთვის კი ძაფზე წვრილი და სუსტი. მე ჩემი სული გაშავებული მაქვს. ვერ მიშველის. აუცილებლად რაღაც მატერიალურის დახმარებაც მჭირდება.

- ამას სჭირდება ისეთი საზოგადოება, სადაც მოთამაშეებს, ნარკომანებს და ლოთებს ცალკე გაამწესებენ და სპეციალური მეთოდებით ხანგრძლივი მკურნალობის კურსებს ჩაუტარებენ.

წარმოდგინეთ სათამაშო მაგიდას შემომსხდარი ადამიანები. ისინი ერთმანეთის შეჭმით არიან დაკავებული. მათი ქცევა ველური მტაცებლების ქცევას გავს. რასაც იქ ნახავთ, იესო დაუნდობლობის გამოვლინებას ვერცერთი ლეშისმჭამელი ფრინველის ნისკარტში ვერ იხილავთ.

ახლა კი, ამ პატარა ოთახში ამ სტრიქონებს ვწერ. რადიო ხმაურობს. ველოდები ამბავს, რომელიც ქვეყნის დაქცევის ტოლფასი იქნება. არ მოდის. წამოვწვები. ხვალ მზე ისევ დაბარებულივით ამოვა. ამოვა და ყოველი დღის ცოდვებისგან განმიკითხავს. რა უნდა ვუპასუხო?



დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშილი, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვეველობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა რაღაც ფორმით, გაურკვეველობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარებლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.